

ბალავარი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
---------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7-8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბალავარის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს:

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბალავარის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშის პირობითი მოსაზრების საფუძველის თავში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2020 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2020 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 4,650 ათასი და 4,768 ათასი ლარის ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2020 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და შესაბამის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გთხოვთ, იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-3 განმარტებითი შენიშვნა, სადაც ნაჩვენებია, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება იყო აუდირებული სს „ფი ქეი ეფ კაიზენის“ (SARAS-F-798362) მიერ, რომელმაც 2021 წლის 29 ივლისს გამოთქვა პირობითი მოსაზრება. თუმცა, კომპანიის სპეციფიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებებზე, იქნა გამოთხოვილი სს „ფი ქეი ეფ კაიზენის“ მიერ 2022 წლის 28 იანვარს, სათანადო მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულების შემდეგ.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია სს „ფი ქეი ეფ კაიზენის“ (SARAS-F-798362) მიერ, რომელმაც 2020 წლის 10 ივლისს გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობაა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

14 თებერვალი, 2022

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე




დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბალავარის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს:

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ბალავარის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი ანგარიშის პირობითი მოსაზრების საფუძველის თავში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2020 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2020 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 4,650 ათასი და 4,768 ათასი ლარის ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2020 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და შესაბამის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გთხოვთ, იხილეთ ფინანსური ანგარიშგების მე-3 განმარტებითი შენიშვნა, სადაც ნაჩვენებია, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება იყო აუდირებული სს „ფი ქეი ეფ კაიზენის“ (SARAS-F-798362) მიერ, რომელმაც 2021 წლის 29 ივლისს გამოთქვა პირობითი მოსაზრება. თუმცა, კომპანიის სპეციფიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებზე, იქნა გამოთხოვილი სს „ფი ქეი ეფ კაიზენის“ მიერ 2022 წლის 28 იანვარს, სათანადო მარეგულირებელი მოთხოვნების შესრულების შემდეგ.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია სს „ფი ქეი ეფ კაიზენის“ (SARAS-F-798362) მიერ, რომელმაც 2020 წლის 10 ივლისს გამოთქვა პირობითი მოსაზრება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

14 თებერვალი, 2022

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

შპს „ბალავარი“

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი		21,491	8,427
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(13,954)	(5,669)
საერთო მოგება	4	7,537	2,758
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(3,603)	(1,604)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება		376	40
ფინანსური ხარჯები		(206)	(211)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	6	73	(100)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(234)	(10)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		211	24
მოგება დაზღვრამდე		4,154	897
მოგების გადასახადი	7	(185)	(268)
წმინდა მოგება		3,969	629
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		3,969	629

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 14 თებერვალს.

დირექტორი

ილია მაღრაძე

ფინანსური დირექტორი

ლევან მაღრაძე

ა. მაღრაძე



შპს „ბალავარი“

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ქართულ ლარში

მოგება/(ზარალისა) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი		21,491	8,427
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(13,954)	(5,669)
საერთო მოგება	4	7,537	2,758
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(3,603)	(1,604)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება		376	40
ფინანსური ხარჯები		(206)	(211)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან	6	73	(100)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(234)	(10)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		211	24
მოგება დაბეგვრამდე		4,154	897
მოგების გადასახადი	7	(185)	(268)
წმინდა მოგება		3,969	629
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		3,969	629

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 14 თებერვალს.

დირექტორი	ილია მაღრაძე	_____
ფინანსური დირექტორი	ლევან მაღრაძე	_____

შპს „ბალავარი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	688	509
არამატერიალური აქტივები		24	7
ლიზინგით შეძენილი ქონება	9	437	485
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,149	1,001
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	4,306	4,768
გადახდილი ავანსები	11	1,664	382
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,040	706
ფული და ფულის ექვივალენტები	13	1,352	714
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,362	6,570
სულ აქტივები		10,511	7,571
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		86	86
გაუნაწილებელი მოგება		5,386	2,466
სულ კაპიტალი		5,472	2,552
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საკონტრაქტო ვალდებულებები	14	4,390	4,165
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	548	674
სალიზინგო ვალდებულებები		101	160
მიმდინარე მოგების გადასახადი		-	20
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,039	5,019
სულ ვალდებულებები		5,039	5,019
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,511	7,571

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 14 თებერვალს.

დირექტორი

ილია მაღრაძე

ფინანსური დირექტორი

ლევან მაღრაძე

ა. მაღრაძე



შპს „ბალავარი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	688	509
არამატერიალური აქტივები		24	7
ლიზინგით შეძენილი ქონება	9	437	485
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,149	1,001
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10	4,306	4,768
გადახდილი ავანსები	11	1,664	382
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,040	706
ფული და ფულის ექვივალენტები	13	1,352	714
სულ მოკლევადიანი აქტივები		9,362	6,570
სულ აქტივები		10,511	7,571
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		86	86
გაუნაწილებელი მოგება		5,386	2,466
სულ კაპიტალი		5,472	2,552
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საკონტრაქტო ვალდებულებები	14	4,390	4,165
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	548	674
სალიზინგო ვალდებულებები		101	160
მიმდინარე მოგების გადასახადი		-	20
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,039	5,019
სულ ვალდებულებები		5,039	5,019
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,511	7,571

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 14 თებერვალს.

დირექტორი ილია მალრაძე _____

ფინანსური დირექტორი ლევან მალრაძე _____

შპს „ბალავარი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი		86	3,356	3,442
წლის სრული შემოსავალი		-	629	629
გამოცხადებული დივიდენდი		-	(1,519)	(1,519)
2019 წლის 31 დეკემბერი		86	2,466	2,552
წლის სრული შემოსავალი		-	3,969	3,969
გამოცხადებული დივიდენდი		-	(1,049)	(1,049)
2020 წლის 31 დეკემბერი		86	5,386	5,472

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ
დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 14 თებერვალს.

დირექტორი

ილია მადრაძე

ფინანსური დირექტორი

ლევან მადრაძე

ა. მადრაძე



შპს „ბალავარი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი		86	3,356	3,442
წლის სრული შემოსავალი		-	629	629
გამოცხადებული დივიდენდი		-	(1,519)	(1,519)
2019 წლის 31 დეკემბერი		86	2,466	2,552
წლის სრული შემოსავალი		-	3,969	3,969
გამოცხადებული დივიდენდი		-	(1,049)	(1,049)
2020 წლის 31 დეკემბერი		86	5,386	5,472

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ
დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 14 თებერვალს.

დირექტორი	ილია მაღრაძე	_____
ფინანსური დირექტორი	ლევან მაღრაძე	_____

შპს „ბალავარი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		3,969	897
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	202	151
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	12	(376)	(40)
საპროცენტო შემოსავალი	13	(26)	-
მარაგების გაუფასურება	10	288	-
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვი	10	57	-
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	8	17	-
საპროცენტო ხარჯები		206	-
წმინდა (მოგება) / ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	6	(73)	100
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(1,758)	2,918
ცვლილებები მარაგებში		117	(421)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(1,282)	1,056
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში		(861)	502
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში		43	(1,198)
ცვლილებები საკონტრაქტო ვალდებულებებში		225	2,979
საოპ. საქმ. გამოყენებული ფულადი სახსრები		2,506	4,026
გადახდილი პროცენტი		(206)	(249)
გადახდილი მოგების გადასახადი	7	(211)	-
მიღებული პროცენტი		26	-
ფულადი სახსრები გენერირებული საოპერაციო საქმიანობაში		2,115	3,777
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	8	(374)	(153)
ქონების ლიზინგის წესით შეძენა	9	-	(485)
არამატერიალური საშუალების შეძენა		(18)	-
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	8	25	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(367)	(638)

შპს „ბალავარი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:

სესხის მიღება/გადახდა		(59)	(1,522)
გადახდილი დივიდენდი		(1,049)	(1,519)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,108)	(3,041)
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		714	620
წმინდა (მოგება) / ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	6	(2)	(4)
წლის წმინდა ზრდა / (კლება)		640	98
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	1,352	714

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 14 თებერვალს.

დირექტორი

ილია მაღრაძე

ფინანსური დირექტორი

ლევან მაღრაძე

ა. მაღრაძე



შპს „ბალავარი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		3,969	897
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	202	151
ცვლილება გაუფასურების ანარიცხში	12	(376)	(40)
საპროცენტო შემოსავალი	13	(26)	-
მარაგების გაუფასურება	10	288	-
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვი	10	57	-
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	8	17	-
საპროცენტო ხარჯები		206	-
წმინდა (მოგება) / ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	6	(73)	100
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(1,758)	2,918
ცვლილებები მარაგებში		117	(421)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(1,282)	1,056
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში		(861)	502
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში		43	(1,198)
ცვლილებები საკონტრაქტო ვალდებულებებში		225	2,979
საოპ. საქმ. გამოყენებული ფულადი სახსრები		2,506	4,026
გადახდილი პროცენტი		(206)	(249)
გადახდილი მოგების გადასახადი	7	(211)	-
მიღებული პროცენტი		26	-
ფულადი სახსრები გენერირებული საოპერაციო საქმიანობაში		2,115	3,777
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	8	(374)	(153)
ქონების ლიზინგის წესით შეძენა	9	-	(485)
არამატერიალური საშუალების შეძენა		(18)	-
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	8	25	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(367)	(638)

შპს „ბალავარი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ათას ქართულ ლარში

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:

სესხის მიღება/გადახდა		(59)	(1,522)
გადახდილი დივიდენდი		(1,049)	(1,519)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,108)	(3,041)
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		714	620
წმინდა (მოგება) / ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	6	(2)	(4)
წლის წმინდა ზრდა / (კლება)		640	98
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	13	1,352	714

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 14 თებერვალს.

დირექტორი	ილია მაღრაძე	_____
ფინანსური დირექტორი	ლევან მაღრაძე	_____

შპს „ბალავარი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ათას ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბალავარი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობების შესაბამისად. რეგისტრაციის და ფაქტური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, რამაზ შენგელიას ქ., №9, კომერციული ფართი N2. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 200269583.

კომპანიის მფლობელები არიან 33% - დავით ძეგნიაური; 33% - დავით ბაინდურაშვილი; 34% - ნატალია შარაშიძე.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - ილია მალრაძე.

2008 წლის 12 დეკემბრიდან კომპანია ფუნქციონირებდა როგორც შპს „ნათო-მური“ - კომპანიამ დასახელება შეიცვალა 2013 წლის 25 იანვარს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდების შეჯამება

ა) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ხარჯების ფუნქციურ კლასიფიკაციას. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ბ) შეფასების საფუძველი

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის აღწერილი (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით. შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბზრო მონაცემები).

გ) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი ათას ქართულ ლარებში.

დ) გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლებს კომპანია აღიარებს „შედეგების მეთოდის შესაბამისად“, იმისდა მიხედვით თუ რა საკონტრაქტო შემოსავალის რა ნაწილი აქვს გამომუშავებული კომპანიას. საკონტრაქტო შემოსავალი მოიცავს კლიენტთან შეთანხმებულ კონტრაქტის ღირებულებას მათ შორის კონტრაქტის ცვლილებებს და მის შედეგებს თუ მისი შეფასება შესაძლებელია საიმედოდ (ჯარიმები/პრეტენზიები როგორც კლიენტის ასევე კომპანიას მხრიდან).

კონტრაქტის ბუნებიდან გამომდინარე გამომუშავებული შემოსავალი აღიარდება როდესაც კონტრაქტის მიხედვით შესრულების ეტაპები შეთანხმდება კომპანიასა და დამკვეთს (შემდგომში - „მხარეები“) შორის. მხარეები ყოველი თვის ბოლოს აფორმებენ მიღება ჩაბარების აქტს (რის საფუძველზეც კომპანია აღგენს ინვოისს), შესრულებულ სამუშაოების შესახებ, სადაც განსაზღვრულია კომპანიას შესრულებული სამუშაოს მიხედვით ასაღიარებელი შემოსავალი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე პროექტებზე განისაზღვრება იმ დარჩენილი შემოსავლის და გასანევი ხარჯის რაოდენობა რომელიც კომპანიას მომავალ პერიოდში აქვს მისაღები და გასანევი.

იმ შემთხვევაში, როდესაც შედეგის შეფასება საიმედოდ არ არის შესაძლებელი, კონტრაქტიდან შემოსავალი აღიარდება იმ გაწეული ხარჯების ტოლი რაოდენობით, რომელიც გაიწია მოცემულ პერიოდში და რომლის ამოღებაც მოსალოდნელია მომავალში.

კონტრაქტების გადახდევა ხდება რეგულარულად და იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

კომპანიას საკონტრაქტო აქტივად აღიარებს იმ ტიპის შესრულებულ სამუშაოებს, რომლის შესრულებამაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო საბოლოოდ შეთანხმებული კონტრაქტორებთან.

საკონტრაქტო აქტივები მოიცავს კომპანიას მიერ გაწეულ ხარჯებს რომლებიც ჩამოიწერება შესრულებული სამუშაოს თვითღირებულებაში მას შემდეგ რაც მოხდება დამკვეთთან მიღება ჩაბარების აქტის გაფორმება.

შპს „ბალავარი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ათას ქართულ ლარში

კონტრაქტის ხარჯები აღიარდება იმ აღიარებული შემოსავლის შესაბამისად.

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ მომენტში, როდესაც მყიდველი მოიპოვებს კონტროლს საქონელზე - ეს თარიღი ძირითადად ემთხვევა საქონლის მიწოდების დროს.

სხვა შემოსავალი

განეული მომსახურებიდან სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც შემოსავლის თანხის ოდენობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ; სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირითადი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულება კორექტირდება, რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ყურდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომდევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალ ინსტრუმენტები

სავალ ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამება განმარტებას, რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას. სავალ ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალ ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია ახდენს სავალ ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების

მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს აღგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში, ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

გაუფასურება

კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ათას ქართულ ლარში

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

ალიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების ალიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიაწიოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს ალიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

ალიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განხილდება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

შპს „ბალავარი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ათას ქართულ ლარში

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შენონილი მეთოდი. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანაკარგები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ექვივალენტებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით, როდესაც ეს არის საჭირო მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ანაზღაურების ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის სამართლიანი ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემთხვევაში, მათი ღირებულება ჩამოიწერება იმ ღირებულებებს შორის უმსხვილეს მნიშვნელობაზე, რომელიც მიიღება გამოყენების შედეგად ან სამართლიანი ღირებულებით გაყიდვის ხარჯის გათვალისწინებით. საბალანსო ღირებულების კლება, რომელიც გამოწვეულია ასეთი ძირითადი საშუალებების გადაფასებით მიიჩნევა ხარჯად იმ ხარისხით, რა ხარისხითაც აღემატება გადაფასებულ ღირებულებას, რომელიც წარმოიქმნება მოცემული აქტივის გადაფასებით. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია როგორც მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან.

ცვთა ძირითად საშუალებებზე ცვთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით :

შენობა-ნაგებობები	2-20 წელი
მანქანა-დანადარები	2-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2-5 წელი

შპს „ბალავარი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ათას ქართულ ლარში

ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	2-10 წელი

აქტივის ნარჩენი/სალიკვიდაციო ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება უდრის ნულს იმ შემთხვევაში, თუ აპირებს ობიექტის გამოყენებას მისი გამოყენების ფიზიკური ვადის დასრულებამდე. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს სასრული მომსახურების ვადა და პირველ რიგში მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზირდება მათ შესაძენად გადახდილი თანხის და მათ სამუშაო მდგომარეობამდე მოყვანის ხარჯების შესაბამისად.

განვითარების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კომპანიის მიერ კონტროლირებად იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამებს, აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ დამატებითი სარგებელი გადააჭარბებს სავარუდო ხარჯებს.

კაპიტალიზირებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების გუნდის პერსონალის ხარჯებს და მნიშვნელოვანი ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის ყველა სხვა ხარჯები, მაგ. მისი შენახვის ხარჯი, აღიარდება ხარჯად, როდესაც ხდება ამ ხარჯის გაწევა. კომპიუტერული პროგრამები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით.

საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია არის მოიჯარე და როდესაც მეიჯარესგან საკუთრების უფლების გადაცემისას მასზე მთლიანად არ ხდება ყველა რისკის და სარგებლის გადასვლა, იჯარის არსებობის მთელ პერიოდზე, მთლიანი საიჯარო გადახდების აღიარება ხდება წრფივი მეთოდით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

შპს „ბალავარი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ათას ქართულ ლარში

უცხოური ვალუტაში გადაანგარიშება

ფილალის საოპერაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები სუბიექტის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. მონეტარული აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება-ზარალი (ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით) აღიარებულია მოგება-ზარალში. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება არაფულად პუნქტებთან დაკავშირებით. გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად მიღებული ცვლილებები სამართლიანი ღირებულებით წარდგენილ წილობრივ ინსტრუმენტებში აღირიცხება როგორც სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვის ნაწილი.

ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოინერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოინერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

ვ) კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე მოქმედი შეფასებებისა და დაშვებების მომზადებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ. მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა - კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო მომსახურების ვადას და მასთან დაკავშირებული ამორტიზაციისა და ამორტიზაციის საფასურებს მისი ქონების, მცენარეთა და აღჭურვილობისა და საბოლოო სიცოცხლის არამატერიალური აქტივებისათვის. სასარგებლო სიცოცხლე შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური სიახლეების ან სხვა ღონისძიებების შედეგად. ამორტიზაციისა და ამორტიზაციის საფასური გაიზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასარგებლო სიცოცხლე ნაკლებია ვიდრე ადრე შეფასებული სიცოცხლე, ან ტექნიკურად მოძველებული ან არა სტრატეგიული აქტივები, რომლებიც მიტოვებულია ან გაიყიდა, ჩამოინერება ან ჩამოინერება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილისა და სხვა განუსაზღვრელი სიცოცხლის არამატერიალური აქტივების გარდა - კომპანია აფასებს არა ფინანსური აქტივების გაუფასურებას, გარდა გუდვილისა და სხვა განუსაზღვრელი სიცოცხლის არამატერიალური აქტივებისგან, თითოეული საანგარიშო თარიღისათვის კომპანიისთვის სპეციფიკური პირობების და კონკრეტული აქტივის შეფასებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფასურება. თუ არსებობს გაუფასურების ზარალი, განისაზღვრება აქტივის ანაზღაურებადი თანხა. ეს მოიცავს სამართლიანი ღირებულების შემცირებას ხარჯების ან გამოყენების ღირებულების გამოთვლებით, რომელიც მოიცავს უამრავ საკვანძო შეფასებას და ვარაუდებს.

ანარიცხები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოითხოვს შეფასებისა და განსჯის მაღალ ხარისხს. იგი ეფუძნება მთელი ცხოვრების განმავლობაში მოსალოდნელ

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

საკრედიტო ბარალზე, დაჯგუფებულია ვადაგადაცდილებული დღის მიხედვით და ქმნის დაშვებებს თითოეული ჯგუფისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის საერთო განაკვეთის გამოყოფის შესახებ. ეს დაშვებები მოიცავს გაყიდვების ბოლოდროინდელ გამოცდილებას და შეგროვებულ ისტორიულ მაჩვენებლებს.

ვ) ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ახალი და შესწორებული სტანდარტებს, რომელიც არ არის ძალაში შესული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი ძალაში შესვლის შემდეგ.

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

3. დამატებითი ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების გამოთხოვილი დასკვნის შესახებ

კომპანია იღებდა მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე (NAT210024645). სხვა მოთხოვნებთან ერთად, აღნიშნული ტენდერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო, რომ კომპანიას წარედგინა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორული დასკვნა, რომელიც გაცემული იქნებოდა იმ აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელსაც გავლილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის („სამსახური“) მიერ განხორციელებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი და სამსახურის უფროსის ბრძანებით მინიჭებული აქვს პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნითი შეფასება.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება აუდირებულია სს „ფი ქეი ეფ კაიზენის“ (SARAS-F-798362) მიერ, რომელმაც 2021 წლის 29 სექტემბერს გამოთქვეს პირობითი მოსაზრება. სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტორული ფირმის 2020 წლის 31 დეკემბრით დათარიღებული მონიტორინგის შედეგის მიხედვით, სს „ფი ქეი ეფ კაიზენის“ საბოლოო შეფასება მესამე კატეგორიაა, შესაბამისად, სს „ფი ქეი ეფ კაიზენის“ მიერ გამოცემული აუდიტის დასკვნა არ აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნული ტენდერის მოთხოვნებს.

აღნიშნული ტენდერი ჩაიშალა და კომპანია ელოდება, რომ ის კვლავ გამოცხადდება (სხვა ფორმით), ასევე კომპანია ელოდება, რომ მსგავსი მოთხოვნა შეიძლება დაისვას სხვა მსგავს ტენდერებზე, შესაბამისად, კომპანია დაუკავშირდა სს „ფი ქეი ეფ კაიზენს“ და ითხოვა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ აუდიტის დასკვნის გამოთხოვა, რაზეც აუდიტორული ფირმისგან მიიღო თანხმობა. გარდა ამისა, კომპანიამ გამოითხოვა აუდიტის დასკვნა კომპანიის ყველა დაინტერესებული მხარისგან, რის შემდეგად გაფორმდა გარიგების წერილი კომპანიასა და ახალ დამოუკიდებელ აუდიტორს შორის.

4. შემოსავალი და მისი თვითღირებულება

	2020	2019
შემოსავლები სამშენებლო კონტრაქტებიდან	11.033	350
შემოსავლები სახელმწიფო ტენდერებიდან	7.327	2.955
შემოსავლები ბინების რეალიზაციიდან	2.868	4.616
სხვა შემოსავლები	271	756
სულ მიღებული შემოსავლები	21.499	8.677
დაბრუნება და ფასდათმობა	(8)	(250)
სულ მიღებული შემოსავლები	21.491	8.427
განწეული ხარჯები		
მასალების ჩამოწერის ხარჯი	10,609	4,791
პირდაპირი ხელფასები	2,234	441
მინა	123	190
მომსახურეობა	498	181
ცვეთა	175	63
სხვა	315	3
სულ განწეული ხარჯები	13,954	5,669

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

ქვემოთ მოცემულ ცხიროლში ნაჩვენებია ძირითადი სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები და მათზე გაწეული ხარჯები 2020 წლის განმავლობაში:

სამშენებლო კონტრაქტიდან მიღებული შემოსავლები/ხარჯები	პროექტი 1, 2, 3	პროექტი 4	პროექტი 5	სულ
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	6,940	6,757	2,347	16,044
აღიარებული მოგება/(ზარალი)	4,443	1,983	97	6,524
დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	11,383	8,740	2,445	22,568
მიღებული ფულადი გადახდები	(13,487)	(9,687)	(1,564)	(24,738)
გაქვითვა ჯარიმის საფუძველზე				
დამკვეთისგან მისაღები თანხები	647	154	991	1,792
დამკვეთისგან მიღებული ავანსი	(2,751)	(1,102)	(111)	(3,964)
დასრულების სტადია	69%	54%	31%	

ქვემოთ მოცემულ ცხიროლში ნაჩვენებია ძირითადი სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები და მათზე გაწეული ხარჯები 2019 წლის განმავლობაში:

სამშენებლო კონტრაქტიდან მიღებული შემოსავლები/ხარჯები	პროექტი 1, 2, 3	პროექტი 4	პროექტი 5	სულ
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	251	3,191	541	3,983
აღიარებული მოგება/(ზარალი)	99	161	(35)	225
დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	350	3,352	506	4,208
მიღებული ფულადი გადახდები	(2,015)	(3,855)	91	(5,779)
გაქვითვა ჯარიმის საფუძველზე				
დამკვეთისგან მისაღები თანხები	-	432	597	1,029
დამკვეთისგან მიღებული ავანსი	(1,665)	(934)	-	(2,599)
დასრულების სტადია	2%	21%	6%	

დამკვეთებისგან მისაღები თანხების რეკონსილაცია 2020 წლისათვის:

შემოსავლები	პროექტი 1, 2, 3	პროექტი 4	პროექტი 5	სულ
დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	11,383	8,740	2,445	22,568
შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში	350	3,352	506	4,208
წლის შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	11,033	5,388	1,939	18,360
ხარჯები				
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	6,940	6,757	2,347	16,044
შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში	251	3,191	541	3,983
წლის ხარჯები სამშენებლო კონტრაქტებზე	6,940	3,315	1,806	12,061

დამკვეთებისგან მისაღები თანხების რეკონსილაცია 2019 წლისათვის:

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

შემოსავლები	პროექტი 1, 2, 3	პროექტი 4	პროექტი 5	სულ
დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	350	3,352	506	4,208
შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში	-	902	-	902
წლის შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	350	2,450	506	3,306
ხარჯები				
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	251	3,191	541	3,983
შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში	-	868	-	868
წლის ხარჯები სამშენებლო კონტრაქტებზე	251	2,324	541	3,116

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასის ხარჯი	3,001	1,342
მარაგების ღირებულების ნეტო სარეალიზაცია ღირებულებამდე შემცირება	288	-
საპენსიო ხარჯი	131	-
უმოძრაო მარაგების ჩამოწერა	57	-
ცვთვის ხარჯი	26	88
პროფესიული ხარჯი	16	-
შეკეთების და შენახვის ხარჯი	-	46
მარკეტინგის ხარჯი	-	22
სხვა ხარჯები	84	106
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	3,603	1,604

6. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	2020	2019
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-
დებიტორული დავალიანება	97	58
კრედიტორული დავალიანება	-	3
მოგება საკურსო სხვაობიდან	97	61
ფული და ფულის ექვივალენტები	2	6
დებიტორული დავალიანება	-	-
კრედიტორული დავალიანება	22	155
ზარალი საკურსო სხვაობიდან	24	161
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	73	(100)

7. მოგების გადასახადი

2020 წლის საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 185 ათასი ლარი (2019: 268 ათასი ლარი).

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება 31/12/2018	125	351	109	225	810
შეძენა	-	27	10	116	153
გასვლა/გაყიდვა	-	(46)	(4)	(9)	(59)
თვითღირებულება 31/12/2019	125	332	115	332	904
შეძენა	-	18	41	315	374
გასვლა/გაყიდვა	-	(63)	-	-	(63)
თვითღირებულება 31/12/2020	125	287	156	647	1,215
დაგროვილი ცვეთა 31/12/2018	(22)	(140)	(49)	(86)	(297)
ცვეთის ხარჯი 2019 წელს	(5)	(47)	(36)	(63)	(151)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	40	4	9	53
დაგროვილი ცვეთა 31/12/2019	(27)	(147)	(81)	(140)	(395)
ცვეთის ხარჯი 2020 წელს	(5)	(33)	(21)	(94)	(153)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	21	-	-	21
დაგროვილი ცვეთა 31/12/2020	(32)	(159)	(102)	(234)	(527)
საბალანსო ღირებულება 31/12/2018	103	211	60	139	513
საბალანსო ღირებულება 31/12/2019	98	185	34	192	509
საბალანსო ღირებულება 31/12/2020	93	128	54	413	688

შპს „ბალავარი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ათას ქართულ ლარში

9. ლიზინგი

	ლიზინგით აღებული მანქანა-დანადგარი
თვითღირებულება 31/12/2018	-
შეძენა	485
თვითღირებულება 31/12/2019	485
შეძენა	-
თვითღირებულება 31/12/2020	485
დაგროვილი ცვეთა 31/12/2018	-
ცვეთის ხარჯი	-
დაგროვილი ცვეთა 31/12/2019	-
ცვეთის ხარჯი	(48)
დაგროვილი ცვეთა 31/12/2020	(48)
საბალანსო ღირებულება 31/12/2018	-
საბალანსო ღირებულება 31/12/2019	485
საბალანსო ღირებულება 31/12/2020	437

10. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მზა პროდუქცია	1,703	3,274
მასალები	1,988	709
დაუსრულებელი წარმოება	-	417
სხვა მარაგები	18	12
მიწა	597	356
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4,306	4,768

მიწის რეკონსტიტუცია ნაჩვენებია ქვემოთ:

	2020	2019
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	356	546
დამატება	364	-
გასვლა	(123)	(190)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	597	356

11. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსებისგან 1,559 ათასი ლარის ოდენობით (2019: 335 ათასი ლარი) და წინასწარ გადახდილი ხელფასებისგან 105 ათასი ლარის ოდენობით (2019: 47 ათასი ლარი).

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,453	1,496
ანარიცხები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	(413)	(790)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,040	706

დებიტორული დავალიანების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	0-30	31-90	91-365	365 და მეტი	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	2%	25%	50%	100%	0%
დებიტორული დავალიანება	1,249	238	590	230	146	2,453
ანარიცხი	-	5	147	115	146	413
წმინდა	1,249	233	443	115	-	2,040

დებიტორული დავალიანების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	0-30	31-90	91-365	365 და მეტი	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	2%	25%	50%	100%	0%
დებიტორული დავალიანება	219	419	42	91	725	1,496
ანარიცხი	-	8	11	46	725	790
წმინდა	219	411	31	45	-	706

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენილად:

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა	
31 დეკემბერი 2018	(830)
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	40
31 დეკემბერი 2019	(790)
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	377
31 დეკემბერი 2020	(413)

2020 წლის ბოლოს არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო და სამართლიან ღირებულებებს შორის.

13. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული სალაროში	4	8
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	201	394
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2	-
დეპოზიტი ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1	2
შეზღუდული ფული	1,144	310
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,352	714

შპს „ბალავარი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ათას ქართულ ლარში

2020 წლის განმავლობაში დეპოზიტზე დარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 26 ათასი ლარი.

შეზღუდული ფული არის გარანტიების უზრუნველსაყოფად გამოყენებული თანხები, რომლის გამოყენებაც კომპანიას არ შეუძლია.

2020 წლის ბოლოს არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო და სამართლიან ღირებულებებს შორის.

14. მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიღებული ავანსები	(4,390)	(4,165)
სულ მიღებული ავანსები	(4,390)	(4,165)

მიღებული ავანსები მოიცავს კომპანიის მიერ გრძელვადიანი ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებულ ავანსებს.

მიღებული ავანსების მოძრაობა	
31 დეკემბერი 2018	1,187
ავანსის მიღება	9,671
შესრულებული სამუშაო - ავანსის გაქვითვა	(6,693)
31 დეკემბერი 2019	4,165
ავანსის მიღება	13,945
შესრულებული სამუშაო - ავანსის გაქვითვა	(13,720)
31 დეკემბერი 2020	4,390

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	(402)	(548)
საგადასახადო ვალდებულებები	(146)	(105)
სხვა ვალდებულებები	-	(21)
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(548)	(674)

2020 წლის ბოლოს არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო და სამართლიან ღირებულებებს შორის.

16. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

i. საგადასახადო და სხვა სახის პირობითი ვალდებულებები

ii. საბანკო გარანტიები

კომპანიას 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გააჩნია საბანკო გარანტიები სს „საქართველოს ბანკში“ 3,199 ათასი ლარის ოდენობით, რომლებიც წარმოადგენს გარანტიებს მიღებული ავანსებისთვის.

კომპანიას 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გააჩნია საბანკო გარანტიები სს „საქართველოს ბანკში“ 1,247 ათასი ლარის ოდენობით, რომლებიც წარმოადგენს შესრულების გარანტიებს.

iii. სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასამართლო დავა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გაშლას.

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით,

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან,

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	1,352	714
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,040	706
სულ ფინანსური აქტივები	3,392	1,420
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	548	674
სულ ფინანსური ვალდებულებები	548	674

(i) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

(iii) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი ალიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი ალიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ;
- თუ საწყისი ალიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად;
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში;
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა, ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი;

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს,

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი ალიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი ალიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი
---	---	---

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2020 წლის დასაწყისში ასევე 2020 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცელებულ დღეებზე, კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცელების დონე, მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე,

მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის ცხრილი ვადაგადაცელებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცელების დღეები	მიმდინარე	0-30	31-90	91-365	365 და მეტი
ვადაგადაცელების პროცენტულობა	0%	2%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე,

ბარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით, ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ბარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის, ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ბარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის მიდგომას.

ლიკვიდრობის რისკი

ლიკვიდრობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდრობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდრობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდრობის ცხრილი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,352	-	-	1,352
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	2,040	-	-	2,040
აქტივები	3,392	-	-	3,392
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	548	-	-	548
ვალდებულებები	548	-	-	548
ბალანსი	2,844	-	-	2,844

ლიკვიდრობის ცხრილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „ბალავარი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ათას ქართულ ლარში

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	714	-	-	714
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	706	-	-	706
აქტივები	1,420	-	-	1,420
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	674	-	-	674
ვალდებულებები	674	-	-	674
ბალანსი	746	-	-	746

კომპანიას აქვს დადებითი ლიკვიდურობის ბალანსი 2019 და 2020 საანგარიშგებო წლებში.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
ლარი	1,349	1,644	250	3,243
აშშ დოლარი	3	809	298	1,110
2020 წლის 31 დეკემბერი	1,352	2,453	548	4,353
ლარი	714	526	402	1,642
აშშ დოლარი	-	970	272	1,242
2019 წლის 31 დეკემბერი	714	1,496	674	2,884

სენსიტიურობის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგების და ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო კურსის გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე, რომელიც გამოიყენება ბალანსის თარიღში, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი დარჩებოდა უცვლელი:

	31-დეკ-20	31-დეკ-19
	ფიქტი მოგებაზე /(ზარალზე)	ფიქტი მოგებაზე /(ზარალზე)
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	124	111
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(124)	(111)

შპს „ბალავარი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ათას ქართულ ლარში

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით,

(გ) კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია კაპიტალის მართვით აუმჯობესებს თავის უნარს გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ამ გზით უზრუნველყოს აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი სარგებლის გადაცემა; ამავდროულად კაპიტალის მართვით კომპანია ინარჩუნებს კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას, რითაც ამცირებს კაპიტალის ღირებულებას.

კაპიტალი შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განმარტებული მთლიანი კაპიტალისა და წმინდა ვალდებულებებისგან, რომელიც ამ მიზნებისათვის განიმარტება, როგორც სხვაობა მიღებულ სესხებსა და ფულისა და ფულის ექვივალენტებს შორის.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა ან/და შეცვლის მიზნით კომპანია ცვლის მფლობელებისადმი გადასახდელი დივიდენდის მოცულობას.

18. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ნაშთები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევენ, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, ან თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა გააკონტროლოს მეორე მხარე, ან შეუძლია განახორციელოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიმართ ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

	2020	2019
ხელფასები, ბონუსები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	1,484	434
სულ	1,484	434

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციები და ნაშთები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	2020	2019
შემოსავლები	7,439,147	3,053,580
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო მოთხოვნები	1,445,568	1,272,596
ანარიცხები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	(173,032)	(639,377)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,272,536	633,220
მიღებული ავანსები	1,212,836	934,281

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

2021 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა 2,380 ათასი ლარის დივიდენდები.